

ისრაელის ეროვნული უსაფრთხოება
და ადამიანის უფლებები

ნინო ჭელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობათა
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი,
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა „ისრაელის ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების“ შესახებ.

აღნიშნული საკითხით დაინტერესება გამოწვეულია ახლო აღმოსავლეთში ისრაელის, როგორც რეგიონის გამორჩეული სახელმწიფოს არსებობით, რომელიც, დღიდან დაარსებისა, იღვწის თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის, მის მიმართ მტრულად განწყობილი არაბული სამყაროს გარემოცვაში.

ნაშრომის მიზანია, დაადგინოს, არის თუ არა დაცული თანაფარდობა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს შორის ისრაელში. კერძოდ კი, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებებზე და იწვევს თუ არა მათ დარღვევას (ასევე, უფრო მეტად, მოსახლეობის რა კატეგორიას შეეხება ეს).

კვლევა განხორციელებულია თვისებრივი ტიპის კვლევის მეთოდით, შესწავლილი და დამუშავებულია თემის ირგვლივ არსებული სხვადასხვა მასალა. ასევე, მოყვანილია შემთხვევის ანალიზი - არაბული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ: ისრაელის დემოკრატიული (ეთნიკური ხასიათის) სახელმწიფო უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც რანგით ყველაზე მაღალ, უმნიშვნელოვანეს ღირებულებას, რის უზრუნველსაყოფადაც ქვეყანაში იზღუდება ადამიანის უფლებები, რაც, შესაბამისად, მათ შორის თანაფარდობას არღვევს. ეს შეზღუდვები - ნაკარნახევი ეროვნული უსაფრთხოებით, შედარებით ნაკლები სიმკაცრით აისახება ისრაელის ებრაულ მოსახლეობაზე, ხოლო განსაკუთრებით მკაცრსა და ერთმნიშვნელოვან ხასიათს მაშინ იღებს, როცა საქმე ეხება არაბულ უმცირესობებს, როგორც საფრთხეს სახელმწიფოსთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ისრაელი, ეროვნული უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, ღირებულება.